



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პროფესიული კოლეჯი
„განთიადი“-ს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა -193

~~27~~ ~~დებემატი~~ 2012 წელი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ მისიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ წესდების, მე-5 მუხლის „ვ“ და „ლ“ პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ მისია დანართი №1 შესაბამისად.
2. მისია ოფიციალური გაცნობის მიზნით განთავსდეს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ ვებ-გვერდზე.
3. დაევალოს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ საქმეთა მმართველს, მარინე ამბრიაშვილს, წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. N30).

დირექტორი



ოთარ დაბრუნდაშვილი

მისია

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ ითვალისწინებს პროფესიული განათლების მნიშვნელობას საქართველოში უმუშევრობის პრობლემების დასაძლევად და რომ პროფესიული განათლება ადამიანური რესურსების განვითარებისა და დასაქმების ზრდის შესაძლებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამასთან დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიული განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს და პროფესიული სტუდენტის, შრომის ბაზრის, დამსაქმებლის, საზოგადოების ინტერესისა და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „განთიადი“ მისიაა:

- ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოამზადოს მაღალი რანგის პროფესიონალები სამშენებლო-საინჟინრო, მსუბუქი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სექტორში, ხელი შეუწყოს ქვეყნის პოტენციალის რეალიზებას;
- განვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული პროგრამების განხორციელების მეშვეობით მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მუდმივად ცვალებად განვითარებაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციას, საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებას და ხელს შეუწყობენ სფეროს დინამიურ განვითარებას;
- კოლეჯის კურსდამთავრებულთა მოღვაწეობამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკური გარემოს ლიბერალიზაციას, კულტურული მრავალფეროვნების განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.

კოლეჯის „განთიადი“ მიზანია, იყოს წარმატებული სასწავლებელი საქართველოში, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრის მომზადებას და შესაბამისად, კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს.

